

ინფორმატიკისა და ინჟინერიის სკოლა
შენობა-ნაგებობათა რეკონსტრუქციის სამაგისტრო პროგრამა

კ უ რ უ კ უ ლ უ მ ი	
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	
შენობა-ნაგებობათა რეკონსტრუქცია / Reconstruction of buildings and structures	
უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური	
მაგისტრატურა	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	
მშენებლობის ინჟინერიის მაგისტრი /Master of Construction Engineering	
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები	
პროგრამის ხელმძღვანელები - ოთარ ჩაკვეტაძე, ირმა ღარიბაშვილი	
დაწვრილებითი ინფორმაცია პროგრამის ხელმძღვანელების კვალიფიკაციისა და სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობის შესახებ, მოცემულია თანდართულ ფაილებში.	
პროგრამის მოცულობა:	
სამაგისტრო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე. კვალიფიკაციის მისაღებად, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მაგისტრანტმა უნდა დააგროვოს - 120 კრედიტი, რომელიც შეადგენს პროგრამაში შემავალი ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კომპონენტებისა და თავისუფალი კომპონენტების კრედიტების ჯამს.	
სასწავლო კომპონენტები წარმოდგენილია 120 კრედიტის მოცულობით, მათ შორის:	
- ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტები - 82 კრედიტი; - ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კომპონენტები - 8 კრედიტი; - თავისუფალი კომპონენტები - 8 კრედიტი; - კვლევითი კომპონენტი - 22 კრედიტი.	
-პრაქტიკის კომპონენტი პროგრამაში წარმოდგენილია როგორც ჩაშენებული პრაქტიკის, ისე დამოუკიდებელი პრაქტიკული კურსის სახით.	
ის სტუდენტები, რომლებიც დასაქმებულნი არიან სამშენებლო კომპანიებში, გაივლიან არჩევით კურსს მათი ინტერესის შესაბამისად.	
წლის განმავლობაში სტუდენტი აგროვებს 60 კრედიტს, ე.ი სემესტრში 30 კრედიტს, თუმცა სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60 კრედიტზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არაუმეტეს 75 კრედიტისა.	

თავისუფალი კომპონენტის დაგროვება სტუდენტს შეუძლია ინფორმატიკისა და ინჟინერიის სკოლაში (პროგრამით შეთავაზებული თავისუფალი არჩევითი საგნებით) ან შპს ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში არსებული სხვა იმავე საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამიდან; საქართველოს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებული აკრედიტებული იმავე საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამიდან; უცხოეთის უმაღლეს სასწავლებელში არსებული იმავე საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამიდან, თუ ეს კრედიტები შესაბამისად აღიარებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

იმ სტუდენტებისთვის,

სწავლების ენა

ქართული ენა (ინგლისური კომპონენტებით)

პროგრამის მიზანი

მშენებლობის სამაგისტრო პროგრამის მიზანია:

1. მოამზადოს სამშენებლო - საპროექტო - სარეკონსტრუქციო საქმიანობაზე ორიენტირებული მშენებლობის ინჟინერიის მაგისტრი, რომელიც საქმიანობის სფეროს ღრმა, სისტემური ცოდნითა და მისი კრიტიკული გააზრების საფუძველზე, შეძლებს ინოვაციებისათვის, ახალი, ორიგინალური იდეების განვითარებისათვის შექმნას მყარი საფუძველი.
2. განუვითაროს რთული ან/და არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის, ინოვაციური სინთეზის, შეფასების, სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობების გათვალისწინებით საქმიანობის პრაქტიკულად წარმართვის უნარი, რაც გულისხმობს შენობა - ნაგებობების რეკონსტრუქციის, პროექტირების, შენობა-ნაგებობის სტრუქტურული ანალიზის, ვიზუალურ-ინსტრუმენტალური კვლევისა და მონიტორინგის განხორციელებას დამოუკიდებლად, მშენებლობის ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებას ქვეყანაში მოქმედი ეროვნული და საერთაშორისო სამშენებლო ნორმებისა და პროტოკოლების, ასევე შრომის უსაფრთხოებისა რეგულაციების გათვალისწინებითა და გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირების პრინციპების დაცვით.
3. მოამზადოს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, მაღალი მორალური პასუხისმგებლობის მქონე სპეციალისტი ღირსეული კარიერისათვის, რომელიც მოტივირებული იქნება ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე კონკურენცია გაუწიოს ანალოგიური პროფილის სპეციალისტებს.
4. მოამზადოს პროფესიონალი, რომლის მოღვაწეობის ძირითადი სფერო იქნება სამშენებლო დარგში პრაქტიკული ან/და სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობა აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, უახლესი მეთოდების, საინჟინრო ინოვაციური ტექნოლოგიებისა და საუკეთესო პრაქტიკების გამოყენებით.

პროგრამაზე დაშვების წინა პირობა

სამაგისტრო პროგრამა განკუთვნილია იმ პირთათვის, რომლებსაც უკვე მიღებული აქვთ უმაღლესი განათლება და სურთ გაიღრმავონ ცოდნა მშენებლობის ინჟინერიის მიმართულებით. შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს:

- ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
- საერთო სამაგისტრო გამოცდების წარმატებით ჩაბარება;
- შიდა საუნივერსიტეტო პროცედურის გავლა, რომელიც შედგება შემდეგი ეტაპებისაგან:
 - დოკუმენტაციის ანალიზი - ამ ეტაპზე ხდება უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული საერთო სააპლიკაციო ფორმის შევსება, რომელიც მოიცავს აპლიკანტის პროფესიული ბიოგრაფიის შეფასებას;
 - გამოცდის ჩაბარება ინგლისურ ენაში (B2 დონე) - გამოცდიდან განთავისუფლებიან ის აპლიკანტები, რომლებიც წარმოადგენენ შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელ სერთიფიკატს (TOEFL, IELTS) ან ბაკალავრის ან შემდგომი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა დასრულებული აქვთ ინგლისურ ენაზე;
 - გასაუბრება/გამოცდა სპეციალობაში* - რომლის მიზანია შეფასდეს აპლიკანტის ცოდნა სამშენებლო ინჟინერიის სფეროში.

* საგამოცდო საკითხები სპეციალობაში წინასწარ განთავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

დასაქმების სფერო

მაგისტრს შეუძლია წარმატებით დასაქმდეს ყველა იმ ადგილობრივ ან საერთაშორისო ორგანიზაციაში, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია მშენებლობასთან, კერძოდ: საპროექტო ფირმებში; სამშენებლო ფირმებში; საშენი მასალების და ნაკეთობების მწარმოებელ ფირმებში; შენობა-ნაგებობათა აღდგენა-სარესტავრაციო ფირმებში; სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიებში; კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებულ სამსახურებში; იმ სახელმწიფო დაწესებულებებში, რომლებიც კურირებენ ქალაქგეგმარებას, მშენებლობას, მშენებლობის ზედამხედველობას, სამშენებლო მასალებისა და ნაკეთობების წარმოებას, მშენებლობის ხარისხის კონტროლს, შენობა-ნაგებობათა მონიტორინგს და სხვ.

მშენებლობის ინჟინერიის მაგისტრი შეიძლება დასაქმდეს შემდეგ პოზიციებზე:

- სამუშაოთა მწარმოებელი
- მშენებელ-კონსტრუქტორი
- მშენებელ-ინჟინერი
- სამშენებლო პროექტების მენეჯერი
- ობიექტის მენეჯერი
- რეკონსტრუქციის ექსპერტი
- და სხვა.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

შენობა-ნაგებობათა რეკონსტრუქციის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია, სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სადოქტორო პროგრამაზე სამშენებლო ინჟინერიის მიმართულებით, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის მკვლევარის მომზადებაზე. კურსდამთავრებულს ასევე შეუძლია სწავლა განაგრძოს ნებისმიერი მიმართულების სადოქტორო პროგრამაზე, თუ ამ

პროგრამაზე მიღების წინაპირობა არ არის შეზღუდული სხვა სპეციალობის მაგისტრის აკადემიური ხარისხით.

სწავლის შედეგები

1. მიღებული თეორიული სიღრმისეული ცოდნის საფუძველზე, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით დამოუკიდებლად იკვლევს სამშენებლო სფეროში თანამედროვე მიღწევების ძირითად თავისებურებებს და მიგნებებს, ამუშავებს ანალიზის საფუძველზე მიღებულ ინფორმაციას შენობა-ნაგებობების ცალკეული სარეკონსტრუქციო/სარეაბილიტაციო ამოცანების გადაწყვეტისთვის;
2. ახორციელებს პრაქტიკულ და კვლევით საქმიანობას გარემოსდაცვითი და უსაფრთხოების ნორმების გათვალისწინებით;
3. ახდენს შენობა-ნაგებობების სტრუქტურული ანალიზის საფუძველზე კომპლექსური გადაწყვეტილებების შემუშავებას, ისტორიულ-სარეაბილიტაციო ობიექტების ღირებულების შენარჩუნებით სამშენებლო მასალებისა და ნაკეთობების შერჩევას, კრიტიკული ანალიზის საფუძველზე წყვეტს სარეკონსტრუქციო/სარეაბილიტაციო ობიექტზე ტრადიციული, კომპოზიტური, ნანოტექნოლოგიურ მასალების გამოყენების საკითხს;
4. ახდენს სარეკონსტრუქციო სამუშაოების ორგანიზებასა და პროექტების ეფექტურ მართვას სახელმწიფოში მოქმედი ეროვნული და საერთაშორისო სამშენებლო ნორმებისა და პროტოკოლების გათვალისწინებით;
5. ახდენს შენობა-ნაგებობათა კონსტრუქციების დამოუკიდებლად გაანგარიშებას უახლესი მეთოდებით, სეისმომედეგი პირობების გათვალისწინებით;
6. გადაწყვეტილების შემუშავების პროცესში, ავლენს სწრაფი ორიენტირებისა და ეფექტური მოქმედების უნარს. ცნობს მშენებლის საქმიანობის ეთიკის ფარგლებს. ითავისებს სოციალურ და მორალურ პასუხისმგებლობას.
7. ახდენს შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქციას ინოვაციური და ენერგო-ეფექტური ტექნოლოგიებისა და მართვის სისტემების გამოყენებით;
8. ახდენს აკადემიური კეთილსინდისიერებით, შესაბამის ფორმატში და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით საკუთარი დასკვნების, არგუმენტებისა და კვლევის შედეგების ქართულ და უცხოურ ენებზე წარდგენას აკადემიურ/პროფესიული საზოგადოების წინაშე.

სწავლება-სწავლის მეთოდები და შესაბამისი აქტივობები

- ლექცია,
- სემინარი (ჯგუფში მუშაობა),
- პრაქტიკული მუშაობა,
- საშინაო დავალება /რეფერატი;
- ელექტრონული რესურსით სწავლება,
- სამაგისტრო ნაშრომი და სხვა.

აკადემიური და მოწვეული პერსონალი შესაძლოა იყენებდეს ზემოთ ჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო კურსის ამოცანიდან გამომდინარე. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

*სილაბუსებში გათვალისწინებულია საკონსულტაციო დრო და ინდივიდუალურად შეთანხმდება თითოეულ პედაგოგთან პროგრამის ხელმძღვანელის მიერ და ეცნობება სტუდენტებს.

შეფასების სისტემა

სტუდენტის მიერ შესაბამის სასწავლო კომპონენტში კრედიტების მიღება/დაგროვება სწავლების პროცესში აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება. სწავლის შედეგების მიღწევის დონე ფასდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის თანახმად.

სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას - 100 ქულას.

შეფასების ფორმები მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნა/გაცნობიერების ან/და უნარის ან/და ავტონომიურობა/პასუხისმგებლობის შეფასების ხერხს (ზეპირი/წერიტი გამოცდა, ზეპირი/წერიტი გამოკითხვა, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო, საშინაო დავალება და სხვა.). შეფასების კომპონენტები აერთიანებს შეფასების მეთოდებს (ტესტი, პრეზენტაცია და სხვა). შეფასების მეთოდი იზომება შეფასების კრიტერიუმებით.

შეფასების თითოეულ ფორმას და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში.

შეფასების თითოეულ ფორმას აქვს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - შუალედური შეფასებისთვის მინიმუმ 25 ქულა, დასკვნითი შეფასებისთვის მინიმუმ 16 ქულა.

მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეიძლება დადგინდეს შეფასების კომპონენტის/კომპონენტებისთვისაც, რაც დაწვრილებით გაიწერება სასწავლო კურსის სილაბუსით.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება დადებითი შეფასების მინიჭების შემთხვევაში.

პროგრამის სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემა:

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი – 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის

უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტის საბოლოო რეიტინგის დასადგენად და მათ წასახალისებლად სასწავლო პროცესის დასრულებისას გამოითვლება კუმულატიური ქულა (GPA). კუმულატიური ქულის გამოთვლა შემდეგნაირად ხორციელდება: ყოველ სასწავლო კურსში სტუდენტის მიერ მიღებული ქულის რაოდენობრივი მაჩვენებელი მრავლდება ამ სასწავლო კურსისათვის განკუთვნილი კრედიტის რაოდენობაზე და შემდეგ ამ რიცხვების საერთო ჯამი იყოფა სტუდენტის მიერ დაგროვილი კრედიტების რაოდენობაზე.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა) უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას. კვლევითი კომპონენტი, მოიცავს კვლევით და პრაქტიკულ ასპექტებს, აღნიშნული კომპონენტი სრულდება სამშენებლო ინჟინერიის დარგში და ფასდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით).

პროგრამის განსახორციელებლად მისაღწევი რესურსები

მატერიალური რესურსი:

- კანონმდებლობით გათვალისწინებული ფართი (სასწავლო და დამხმარე);
- სათანადო ინვენტარით აღჭურვილი აუდიტორიები, საკონფერენციო დარბაზები, აკადემიური პერსონალის სამუშაო ოთახები, ადმინისტრაციის მუშაობისათვის განკუთვნილი ფართი;
- ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა;
- სველი წერტილები;
- ბუნებრივი განათება;
- გათბობის საშუალებები;
- ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
- ევაკუაციის გეგმა;
- სამედიცინო დახმარების მექანიზმები (სამედიცინო კაბინეტი);
- წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები (უნივერსიტეტის დაცვა);
- კომპიუტერთა სათანადო რაოდენობა და ინტერნეტით სარგებლობის შესაძლებლობა;
- საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი სახელმძღვანელოებითა და თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა;

ადამიანური რესურსი:

- აკადემიური პერსონალი შერჩეული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მათი კვალიფიკაციის გათვალისწინებით.
- მკვლევარებად და მასწავლებლებად უნივერსიტეტში მოწვეულნი არიან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პრაქტიკოსი მუშაკები და სამეცნიერო ხარისხის მქონე პირები.

--

შენიშვნა ნაგებობათა რეკონსტრუქციის სამაგისტრო პროგრამის მიზნებისა და შედეგების რუქა

მიზნები / შედეგები	შედეგ ი 1	შედეგ ი 2	შედეგ ი 3	შედეგ ი 4	შედეგ ი 5	შედეგ ი 6	შედეგ ი 7	შედეგ ი 8
მიზანი 1 - მიღებული თეორიული სიღრმისეული ცოდნის საფუძველზე, მოამზადოს სამშენებლო - საპროექტო -სარეკონსტრუქციო საქმიანობაზე ორიენტირებული მშენებლობის ინჟინერიის მაგისტრი, რომელიც საქმიანობის სფეროს ღრმა, სისტემური ცოდნითა და მისი კრიტიკული გააზრების საფუძველზე, შეძლებს ინოვაციებისათვის, ახალი, ორიგინალური იდეების განვითარებისათვის შექმნას მყარი საფუძველი.				X	X		X	
მიზანი 2 - განუვითაროს რთული ან/და არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის, ინოვაციური სინთეზის, შეფასების, სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობების გათვალისწინებით საქმიანობის პრაქტიკულად წარმართვის უნარი, რაც გულისხმობს შენობა - ნაგებობების რეკონსტრუქციის, პროექტირების, შენობა-ნაგებობის სტრუქტურული ანალიზის, ვიზუალურ-ინსტრუმენტალური კვლევისა და მონიტორინგის განხორციელებას დამოუკიდებლად, მშენებლობის ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებას ქვეყანაში მოქმედი ეროვნული და საერთაშორისო სამშენებლო ნორმებისა და პროტოკოლების, ასევე შრომის უსაფრთხოების რეგულაციების გათვალისწინებითა და გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირების პრინციპების დაცვით.		X	X	X	X		X	
მიზანი 3 - მოამზადოს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, მაღალი მორალური პასუხისმგებლობის მქონე სპეციალისტი ღირსეული კარიერისათვის, რომელიც მოტივირებული იქნება ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე კონკურენცია გაუწიოს ანალოგიური პროფილის სპეციალისტებს.	X		X		X	X		X
მიზანი 4 - მოამზადოს პროფესიონალი, რომლის მოღვაწეობის ძირითადი სფერო იქნება სამშენებლო დარგში პრაქტიკული ან/და სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობა აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, უახლესი მეთოდების, საინჟინრო ინოვაციური ტექნოლოგიებისა და საუკეთესო პრაქტიკების გამოყენებით.	X	X				X		X

შენობა-ნაგებობათა რეკონსტრუქციის სამაგისტრო პროგრამის შედეგებზე გასასვლელად თითოეული სავალდებულო საგანი წარმოდგენილია პროგრამის შედეგებთან მიმართებაში, თუ რომელი საგნის შესწავლა იწვევს რომელ შედეგზე გასვლას, შესაბამისი დონის აღნიშვნით.

საგნები ჩაშლილია სამ დონედ:

- ა) გაცნობაზე ორიენტირებული კურსები (I-Introduction)
- ბ) გაღრმავებაზე ორიენტირებული კურსები (D -Development)
- გ) განმტკიცებაზე ორიენტირებული კურსები (M - Mastering).

საგნისა და შედეგის თანაკვეთის უჯრაში მითითებულია ერთ-ერთი დონის აღმნიშვნელი ინდიკატორი - I, D ან M.

#	ძირითადი სასწავლო კომპონენტები	შედეგი 1	შედეგი 2	შედეგი 3	შედეგი 4	შედეგი 5	შედეგი 6	შედეგი 7	შედეგი 8
1	ტრადიციული და კომპოზიტური, ნანოტექნოლოგიური მასალები			I				I	
2	სამშენებლო ნორმები და პროტოკოლები	I	I		I		I		
3	საინჟინრო ქიმია			I				I	
4	საინჟინრო ფიზიკა(აკუსტიკა, განათება, ენერგოეფექტურობა)			I		I		I	
5	ეკო გეოლოგია			I					
6	სეისმოლოგია ინჟინრებისთვის					D			
7	შრომის უსაფრთხოება და გარემოს დაცვა		I		I		I		
8	შენობა-ნაგებობის სტრუქტურული ანალიზი, კვლევა, მონიტორინგი	D		D					I
9	სარეკონსტრუქციო სამუშაოთა ორგანიზაცია			D	D			D	
10	ტექნიკური ზედამხედველობა კაპიტალური მშენებლობის, რეკონსტრუქციის და რეპროვილირების დროს		D		D			D	
11	შენობა-ნაგებობათა აღდგენა-გამლიერების მეთოდები			I		I			
12	შენობა-ნაგებობათა აგების ინოვაციური ტექნოლოგიები	D		D				D	
13	სამშენებლო პროექტის მენეჯმენტი	M			D		D		D
14	მზიდი კონსტრუქციების ელემენტების აღდგენა-გამლიერება კომპოზიტებით			M		D		D	
15	წინა სამაგისტრო პრაქტიკა	M	M	M	M	M	M	M	M
16	კვლევითი კომპონენტი/ სამაგისტრო ნაშრომი	M	M	M	M	M	M	M	M

დანართი-1: პროგრამის სასწავლო გეგმა

დანართი-2: პროგრამის ხელმძღვანელების CV-ები